მოძალადის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით. ელექტრონული საშუალება არის ელექტრონული სამაჯურის (გადამცემი) და მოძალადის/მსხვერპლის მიმღები აპარატის ერთობლიობა.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა.

მსხვერპლის მიმღები აპარატის ტექნიკური მახასიათებლები

მსხვერპლის მიმღები აპარატი განსაზღვრავს მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებულ დისტანციას და განგაშის სიგნალის მეშვეობით მსხვერპლს ატყობინებს მოძალადის მოახლოებას **2 გეოგრაფიული ზონის** პარამეტრების შესაბამისად.

მსხვერპლის მიმღებ აპარატს აქვს დახმარების (SOS) ღილაკის გააქტიურების ფუნქცია. დახმარების (SOS) ღილაკის გააქტიურების შემთხვევაში, განგაშის სიგნალი იგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ **„112“**-ში.

მსხვერპლის მიმღები აპარატი აღჭურვილია ელემენტით, რომლის მუშაობის ხანგრძლივობაც არის **24 საათი.** ელემენტის დამუხტვის მიზნით, მსხვერპლის მიმღები აპარატი პერიოდულად საჭიროებს დენის წყაროსთან მიერთებას.

მსხვერპლის მიმღებ აპარატს აქვს ორი სხვადასხვა მობილური ოპერატორის **SIM** ბარათი. ამათგან, ერთი **SIM** ბარათი აქტიურია, ხოლო მეორე ასრულებს სათადარიგო ბარათის ფუნქციას.

მსხვერპლის მიმღები აპარატი იძლევა მსხვერპლთან კომუნიკაციის საშუალებას. ამასთან, მიმღები აპარატის საშუალებით შესაძლებელია მხოლოდ ორ წინასწარ განსაზღვრულ ნომერზე დაკავშირება. ესენია: გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი **„112“** და მონიტორინგის ცენტრის შესაბამისი ნომერი – **2 41 81 12.**

ელექტრონული საშუალება მსხვერპლს ატყობინებს საგანგაშო ზონაში შესვლას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაკარგულია კავშირი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ **„112“**-თან. შეტყობინება აისახება მსხვერპლის ელექტრონული საშუალების ეკრანზე მითითებული ტექსტით. მსხვერპლის მიმღები აპარატი მსხვერპლთან კომუნიკაციას ახდენს ასევე განგაშის სიგნალისა და ვიბრაციის გამოყენებით.

გეოგრაფიული ზონები

ელექტრონული ზედამხედველობა მოიცავს ორ გეოგრაფიულ ზონას:

საგანგაშო ზონა: დაცვის შიდა ზონა (მსხვერპლის ადგილსამყოფელიდან, მისი საცხოვრებელი სახლიდან, სამსახურიდან და სხვა ადგილებიდან 100 მეტრის რადიუსში არსებული გეოგრაფიული ზონა).

ბუფერული ზონა: დაცვის გარე ზონა (საგანგაშო ზონის ირგვლივ არსებული 500 მეტრიანი გეოგრაფიული ზონა).

საგანგაშო/ბუფერული ზონა იყოფა სტატიკურ და დინამიკურ ზონებად:

სტატიკური (უძრავი) საგანგაშო/ბუფერული ზონა გულისხმობს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმში მითითებულ წინასწარ მითითებულ ადგილებთან (სახლი, სამსახური და სხვა ადგილი) არსებულ გეოგრაფიულ ზონებს.

დინამიკური (მოძრავი) საგანგაშო/ბუფერული ზონა გულისხმობს მსხვერპლის გადაადგილებისას მისი ადგილმდებარეობის შესაბამისად წარმოქმნილ გეოგრაფიულ ზონებს.

ელექტრონული ზედამხედველობისას მსხვერპლი ვალდებულია დაიცვას მიმღები აპარატის ექსპლუატაციის შემდეგი წესი:

- უზრუნველყოს მიმღები აპარატის დამუხტულ მდგომარეობაში შენარჩუნება.
- მუდმივად თან იქონიოს მიმღები აპარატი (არაუმეტეს 20 მეტრის რადიუსში).
- განზრახ არ დაახშოს GPS სიხშირე.
- იმყოფებოდეს GPS დაფარვის ზონაში.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მსხვერპლი ვალდებულია:

- დაიცვას მისთვის გადაცემული მიმღები აპარატი დაზიანებისაგან/ განადგურებისგან.
- მიმღები აპარატის დაზიანების/განადგურების ან გაუმართაობის შემთხვევაში აცნობოს მონიტორინგის ცენტრს.
- არ დატოვოს საქართველოს ტერიტორია მიმღებ აპარატთან ერთად.
- საზღვრის კვეთამდე არანაკლებ 48 საათით ადრე შეატყობინოს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს ქვეყნიდან გასვლისა და შემოსვლის ვადების შესახებ.

- მიმღები აპარატი საქართველოდან გასვლამდე არაუმეტეს 12 საათით ადრე გადასცეს უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოს.
- საქართველოში შემოსვლიდან არაუგვიანეს 12 საათისა გამოცხადდეს უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოში ელექტრონული ზედამხედველობის გაგრძელების მიზნით.
- ელექტრონული ზედამხედველობის დასრულების შემდეგ, მოთხოვნისთანავე, გამოცხადდეს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში და ჩააბაროს მიმღები აპარატი.
- შეასრულოს მონიტორინგის ცენტრის მითითებები.

საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მსხვერპლს ეზღუდება საქართველოს ტერიტორიის დატოვება.

! ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისთვის გადაცემული ელექტრონული საშუალების დაზიანება/განადგურება იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

შინაგან საქმეთა სამინისტრო

მოძალადეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება თუ იგი:

- ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეაღწევს.
- საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნას არ შეასრულებს.
- თავს აარიდებს ელექტრონულ ზედამხედველობას (ქმედება, რომლის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება).

Polish aid HumanDoc

დოკუმენტი მომზადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტისა და ფონდ „ჰუმანდოკის“ HumanDoc Fundation (პოლონეთი)-ის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

adamianisuflebebi@mia.gov.ge Adamianisuflebatadacvisdepartamenti

Polish aid HumanDoc

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას დაზარალებულის ან მსხვერპლის უფლება-მოვალეობები

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით, შესაძლებელია დაწესდეს მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობა, რაც გულისხმობს მოძალადის მსხვერპლთან მიახლოების GPS კონტროლს. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების დაწესება დასაშვებია, თუ მოძალადის მხრიდან არსებობს ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე.

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, აგრეთვე შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს.